ლიბერთი

ლიბერთი ბანკი

გადახდის ქვითარი

29.04.2021

კლიენტის კოდი 24656575

გადამხდელი:	ამირან ბეგიაშვილი, 01012019532, GEO			
ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდილია სულ :	10007.00	გადარიცხვის საკომისიო:	7.00	GEL

მოლარე ბ.ა.

ლიბერთი

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება N 24656575

29.04.2021

LB-10024656575

GEL

10000.00

თანხა სიტყვიერად

ათიათასი ლარი

გადამხდელის დასახელება: ამირან ბეგიაშვილი, 01012019532, GEO

გადამხდელის ანგარიში GE71LB0013945010427137

გადამხდელის ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი LBRTGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის სავალდებულოც სრულდება გადახდა

დასახელება: შპს ხიმინჯი 2012

საიდენტიფიკაციო კოდი/ პირადი ნომერი: 406082260

მიმღები დასახელება: ერთიანი სააღსრულებო ანგარიში

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 300773263

მიმღების ბანკი/ხაზინა: ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური ბანკის კოდი TRESGE22

საიდენტიფიკაციო კოდი:

გადახდის დანიშნულება: შპს ხიმინჯი 2012 ს/კ 406082260 დადგენილება N 000674 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე შეზღუდვის სანქციებიდან ჩარიცხვა და საურავე

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერა

ბ.ა

ბანკის აღნიშვნები

შესრულების თარიღი: 29.04.2021

ბანკში შემოსვლის თარიღი: 29.04.2021

ხელმოწერა

ბ.ა

შტამპის ადგილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-11/0585-21

"28" 04 2021 წ.

დადგენილება №000674
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

28.04.2021წ. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე 2021 წლის 28 აპრილის №000674 შემოწმების აქტი „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი შ.პ.ს. „ხიმინჯი 2012"-ს (ს/კ №406082260; დირექტორი -ამირან ბეგიაშვილი; მის: ქ. თბილისი, ისანის რაიონი, ვაზისუბნის დას., კორ. 26, ბინა 19) მიმართ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა, №59-ში (ს/კ №01.17.07.031.035) შ.პ.ს. „ხიმინჯი 2012"-ს მიერ, განხორციელდა მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №5019379 15.07.2020წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ: დასასრულებელია ფასადების მოპირკეთება, მოაჯირების მოწყობა, ვიტრაჟების მოწყობა და სხვა სამშენებლო სამუშაოები. **„1-6" ფასადი:** „2" ღერძთან, +12.60 ნიშნულთან, ფიქსირდება რიგელი. „3-5" მონაკვეთში, +15.90 ნიშნულის ზემოთ, ფასადის მოწყობა არ შეესაბამება საპროექტოს. **±0.00 ნიშნულზე,** „ბ" ღერძის გარეთ, „1-6" მონაკვეთში, არ არის მოწყობილი კიბეები და გამწვანების დეკორატიული ქოთნები. „დ-გ"-„5-6" მონაკვეთში, შეცვლილია ლიფტის შახტის კარის ღიობის მდებარეობა. **+3.90 ნიშნულზე,** „1" ღერძის გარეთ და „დ" ღერძის გარეთ, დამატებით მოწყობილია კარის ღიობები. **+12.60 ნიშნულზე,** შეცვლილია კიბის მასალა, გაბარიტი და მოწყობა. „დ" ღერძთან, „5-6" მონაკვეთში, დამატებით მოწყობილია კარის ღიობი. „3-4"-„გ-დ" მონაკვეთში შეცვლილია გარე კედლების კონტური, შემცირებულია შიდა და გაზრდილია გარე ფართი. ღია ფართში, გადახურვაზე ფიქსირდება არმატურის ნაშვერები. კიბის უჯრედში მოსახსნელია დროებითი საყრდენი დგარები და დროებითი კონსტრუქცია. **+15.90 ნიშნულზე,** „დ", „5 და „გ" ღერძებთან, კედლებს მონაცვლებული აქვთ ადგილი და გაზრდილია კიბის უჯრედის ფართი. „ა" ღერძთან არ არის მოწყობილი კოლონები. „4" ღერძთან, პარაპეტზე დამატებით მოწყობილია ღიობი. „5"-ა" ღერძთან შეცვლილია გადახურვის ფილის ფორმა. **შენობაში,** „5-ა" ღერძთან +3.90 ნიშნულიდან, 12.60 ნიშნულამდე კოლონასთან კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი და შემცირებულია აივნების გაბარიტი. შენობიდან და ტერიტორიიდან გასატანია სამშენებლო

ნარჩენები და მასალები. +12.60 და +15.90 ნიშნულებზე შეცვლილია პარაპეტის სიმაღლე.

2021 წლის 28 აპრილს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000674 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის №19/01210742837-17 15.03.2021წ. განცხადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. „ხიმინჯი 2012"-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა, №59-ში (ს/კ №01.17.07.031.035) განხორციელდა მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №5019379 15.07.2020წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 127-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 127-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. შ.პ.ს. „ხიმინჯი 2012" დაჯარიმდეს 10000 (ათიათასი) ლარით ქ. თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა, №59-ში (ს/კ №01.17.07.031.035) პროექტის დარღვევით III კლასის ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსი) მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. „ხიმინჯი 2012"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. „ხიმინჯი 2012"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე მამუკა ჯაყელი